

ცნობები სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესახებ

სააქციო საზოგადოება „თელასი“ გაცნობებთ, რომ შედგა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმი 2 შედგენილ იქნა 2012 წლის 29 ივნისს.

ჩატარების ფორმა:	ერთობლივი დასწრება
ჩატარების ადგილი:	თბილისი, ვანის ქ. 3
ჩატარების თარიღი:	2012 წლის 28 ივნისი
ჩატარების დრო:	14 საათი 30 წუთი
საერთო კრების კვორუმი:	ხმის უფლების მქონე აქციათა 99,525%-

აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:

1. საზოგადოების 2011 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
2. საზოგადოების 2011 წლის წლიური ბუღალტრული ანგარიშგების დამტკიცების შესახებ.
3. საზოგადოების 2011 წლის მოგების (ზარალის) განაწილების შესახებ.
4. 2011 წლის შედეგების მიხედვით დივიდენდების გადახდის (გამოცხადების) შესახებ.
5. 2012 წლისათვის საზოგადოების აუდიტორის არჩევის შესახებ და საზოგადოების აუდიტორის მომსახურების გადახდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
6. სს „თელასის“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

გადაწყვეტილების პროექტი 1-ელ საკითხზე:

„დამტკიცდეს წლიური ანგარიში 2011 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით დანართის 1 შესაბამისად.“;

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“ .

გადაწყვეტილების პროექტი მე-2 საკითხზე:

„დამტკიცდეს 2011 წლის საზოგადოების წლიური ბუღალტრული ანგარიშგება დანართის 2 შესაბამისად.“;

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“ .

გადაწყვეტილების პროექტი მე-3 საკითხზე:

„2011 წლის შედეგების მიხედვით სს „თელასი“-ს მიერ მიღებული წმინდა მოგება 30 118 000 (ოცდაათი მილიონ ას თვრამეტი ათასი) ლარის ოდენობით მიმართულ იქნეს გასული წლების ზარალის დასაფარად“.

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 99,97%; „წინააღმდეგი“: „0,03%“. „თავი შეიკავა“: „0“ .

გადაწყვეტილების პროექტი მე-4 საკითხზე:

„2011 წლის შედეგების მიხედვით დივიდენდები არ იქნეს გადახდილი“.

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 99,97%; „წინააღმდეგი“: „0,03%“. „თავი შეიკავა“: „0“ .

გადაწყვეტილების პროექტი მე-5 საკითხზე:

„1. 2012 წელს სს „თელასი“ აუდიტის განმახორციელებელ ორგანიზაციად დამტკიცდეს კომპანია „ერნსტ ენდ იანგი“.

2. აუდიტორის გასამრჯელო განისაზღვროს 71 500 (სამოცდათერთმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარამდე ოდენობით, დღგ-ს და ზედდებული ხარჯების გარეშე.

3. სს „თელასის“ გენერალურმა დირექტორმა (ა. ლ. მანუკიანმა) აუდიტორის დამტკიცების შესახებ აქციონერთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, დადოს აღნიშნულ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება აუდიტორული მომსახურების შესახებ“.

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“ .

გადაწყვეტილების პროექტი მე-6 საკითხზე:

„დამტკიცდეს სს „თელასი“-ს წესდება ახალი რედაქციით დანართი 3-ის შესაბამისად“.

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“ .